საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კოლხური ტაფელა

კოლხური ტაფელა (Rodeus colchicus, Bogutskaya et. Komlev, 2001), თევზი. მიეკუთვნება კობრისებრთა ოჯახს (Cyprinidae, Fleming, 1822), ტაფელების გვარს (Rodeus Agassiz, 1832). მაქსიმალური სიგრძე – 25 სმ, მასა 15 გ, მაქსიმალური ასაკი – 5 წელი. მტკნარი წყლის ბენთოპელაგიური სახეობაა. მრავლდება სხვადასხვა დროს, თებერვლიდან აგვისტომდე. ნაყოფიერება 200–450 ქვირითია; ტოფობს რამდენჯერმე. იგი განსხვავდება აქამდე შესწავლილი ჩვეულებრივი ტაფელასაგან უფრო მსხვილი ქერცლით, ხერხემლის მალების რაოდენობით, გვერდითი ხაზით, უფრო მაღალი მეორე და უფრო ფართო მეოთხე და მეხუთე ინფრაორბიტალებით. იკვებება წყალმცენარეებით, ნაწილობრივ – ბენთოსითა და პლანქტონით. გავრცელებულია დას. ტრანსკავკასიაში, საქართველოში. ამიერკავკასიის ენდემია. სარეწაო მნიშვნელობა არა აქვს. ბუნების დაცვის საერთაშ. კავშირის (IUCN) მიერ არ არის შეფასებული (NE).

ლიტ.: ნ ი ნ უ ა ნ., ჯ ა ფ ო შ ვ ი ლ ი ბ., ბ ო ჭ ო რ ი შ ვ ი ლ ი ვ., საქართველოს თევზები, თბ., 2013, Б о г у ц к а я Н., Н а с е к а А., Каталог бесчелюстных и рыб, М., 2004.

ნ. ნინუა